



განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის
სტრატეგიის დოკუმენტი
2016-2020 წწ.



1. შესავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2016-2020 წლების სტრატეგიის დოკუმენტი ასახავს საქართველოში განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით ცენტრის ხედვას, ამ პროცესში მის დანიშნულებას, განმარტავს ცენტრის სტრატეგიულ მიზნებსა და მათი მიღწევის გზებს.

სტრატეგიული გეგმა, წარმოადგენს ცენტრის დოკუმენტს, რომელიც დეკლარირებული მიზნების მისაღწევად ხელს უწყობს ცენტრის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტურ მუშაობას. აგრეთვე, ცენტრის თანამშრომლები განიხილავენ მას, როგორც შესაძლებლობას, ყველა დაინტერესებულ მხარეს გაუზიარონ თავიანთი ხედვა და ამით ხელი შეუწყონ ცენტრის საქმიანობის შეფასებასა და შემდგომ სრულყოფას.

წარმოდგენილი სტრატეგიის დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმას, რომლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია მეცნიერებისა და განათლების განვითარება, რომელიც მოიცავს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის პრინციპის დანერგვას, განათლებისა და მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესებას, შედეგზე ორიენტირებული ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის სისტემების სრულყოფას, ინტერნაციონალიზაციას ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში, დუალური განათლების პრინციპების დანერგვას, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის ხელშეწყობას.

სტრატეგიის დოკუმენტი ითვალისწინებს, 2013-2016 წლებში განხორციელებულ, ცენტრის საქმიანობისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მოქმედი სისტემის შეფასების სხვადასხვა საერთაშორისო¹ და შიდა ანგარიშების მიგნებებსა და რეკომენდაციებს; ასევე ხარისხის მართვის ევროპული ფონდის სტანდარტის დანერგვის პროცესში 2016 წელს განხორციელებული თვითშეფასების შედეგებს.

ევროსაბჭოს ექსპერტების მიერ მომზადებული მიმოხილვითი ანგარიში და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ქსელში (ENQA) წევრობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ანგარიშიც ადასტურებს, რომ განათლების

¹ Council of Europe's Review report of the current external quality assurance system in Georgia, by Ms Ligia Deca and Dr. Achim Hopbach, 2014;
The Report regarding the NCEQE compliance with ENQA membership criteria and the ESG by Josep Grifoll Sauri, 2013;
PICQA project report, 2011-2012.



ხარისხის უზრუნველყოფის ქართული სისტემა მნიშვნელოვანწილად შეესაბამება კარგ საერთაშორისო პრაქტიკას და დინამიურად ვითარდება. თუმცა, ორივე დოკუმენტი გამოყოფს რიგ პრინციპულ საკითხს, რაც საერთაშორისო ექსპერტების აზრით რეაგირებასა და გაუმჯობესებას საჭიროებს. მათ შორის, რეკომენდირებულია: 1. **ცენტრის მეტი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა** და ამ მიზნით გარკვეული მექანიზმებისა თუ ინსტიტუციური გარანტიების ჩამოყალიბება; 2. **ცენტრის საკონსულტაციო ფუნქციის თვისობრივი განვითარება**, რათა ხელი შეეწყოს დაწესებულებებში ხარისხის მართვის ქმედითი სისტემების ჩამოყალიბებასა და უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის კულტურისა და პრაქტიკის ეფექტურ დანერგვას; 3. **განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა**, ამ მიზნით ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებისა და შეფასების პროცედურების გადახედვა, ჩართული აქტორების შესაძლებლობების განვითარება.

იმავდროულად, სტრატეგია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში განათლების სფეროში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას. 2015 წლის მაისში ცენტრის მიერ მომზადდა ასოცირების შეთანხმების განხორციელების გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ასოცირების ხელშეკრულების XXXII დანართით გათვალისწინებული ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილების განხორციელებას უმაღლეს და პროფესიულ განათლებაში. სტრატეგია სრულად იზიარებს ამ დოკუმენტში ასახულ მიზნებს, მათ შორის, უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებას, აღიარებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპების ხელშეწყობას, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს რევიზიას, საერთაშორისო თანამშრომლობასა და ბოლონის პროცესში საქართველოს აქტიურ მონაწილეობას, პროფესიული განათლების მიწოდების შესაბამისობის გაუმჯობესებასა და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების დახვეწას.



2. ცენტრის მანდატის მიმოხილვა

საქართველოში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად, 2010 წელს შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ცენტრის საქმიანობას ზედამხედველობას უწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. განათლების ხარისხის განვითარების მიზნით ცენტრის მანდატი მოიცავს შემდეგ სამ ძირითად მიმართულებას:

ხარისხის უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების ხარისხის შეფასების სტანდარტების განვითარება, დაწესებულებათა ავტორიზაცია და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია.

ხარისხის განვითარების მხარდაჭერა

საგანმანათლებლო დაწესებულებათა და სხვა დაინტერესებულ პირთა ინფორმირება-კონსულტირება და საჭიროების მიხედვით სხვა მხარდაჭერი სერვისების მიწოდება.

კვალიფიკაციათა განვითარება და აღიარება

განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს და სტანდარტების შემუშავება და მათი დანერგვის უზრუნველყოფა; შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების განვითარება და დანერგვა; დაინტერესებული პირებისთვის განათლების აღიარების სერვისების მიწოდება.



3. ხედვა, მისია და ღირებულებები

ხედვა

ცენტრის ხედვაა საქართველოში მიღებული განათლების ხარისხი სრულად პასუხობდეს ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს, ხოლო ქვეყანაში განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების სფეროში ცენტრი იყოს წამყვანი ინსტიტუცია, რომელსაც აქვს მაღალი ნდობა და აღიარება, როგორც ადგილობრივ, ისე - საერთაშორისო დონეზე.

მისია

ცენტრის მისიაა საქართველოში განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერა, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხზე ორიენტირებული კულტურისა და მართვის პრაქტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების გაწევა და ქვეყნის განათლების სისტემის მიმართ ნდობის უზრუნველყოფა.

ღირებულებები

ცენტრი, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სწავლის პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის, დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობისა და უწყვეტი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით. შესაბამისად, მისი უმთავრესი ღირებულებებია:

თანამშრომლობა

დაინტერესებულ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

დამოუკიდებლობა

სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში ფუნქციონირების მიუხედავად ცენტრის დამოუკიდებლობა საქმიანობის განხორციელებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა.

განვითარება

საკუთარი საქმიანობის მუდმივი შეფასება და გაუმჯობესება.

პროფესიონალიზმი

თანამშრომელთა კვალიფიციურობა, ეფექტურობა და ანგარიშვალდებულება; მომხმარებელთა მიმართ პატივისცემა და მათზე ორიენტირებულობა.



საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა

საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობა.

4. ორგანიზაციის განვითარების ძირითადი სტრატეგიული ორიენტირები

იმისათვის, რომ ცენტრმა შესაბამისად უპასუხოს არსებულ გამოწვევებს, გაზარდოს საკუთარი საქმიანობის ეფექტურობა, მომსახურების ხარისხი, მომხმარებელთა კმაყოფილების დონე და, იმავდროულად, უფრო მდგრად, სანდო ინსტიტუციად ჩამოყალიბდეს, მისი სტრატეგიული განვითარების ვექტორი უნდა დაეფუძნოს შემდეგ ძირითად პრინციპებსა და მიდგომებს:

- საზოგადოების ნდობის გაღრმავება და დამოუკიდებელი ორგანიზაციის სტატუსის განმტკიცება

საზოგადოების მაღალი ნდობა ცენტრის აღიარებისა და განვითარების საკვანძო წინაპირობაა. ასეთი სოციალური კაპიტალის მოზიდვაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. მათ შორის, ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ინსტიტუციის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხი. შესაბამისად, ცენტრმა აქტიურად უნდა აწარმოოს დიალოგი დაინტერესებულ პირებთან დამოუკიდებლობის კიდევ უფრო მყარი ინსტიტუციური საფუძვლების შექმნის შესახებ.

- ინტერნაციონალიზაციის პროცესის აქტიური მხარდაჭერა

განათლების ინტერნაციონალიზაცია უპირობო პრიორიტეტია. იგი ხელს უწყობს განათლების ხარისხის განვითარებას, საერთაშორისო მობილობას, საერთაშორისო აღიარებასა და ნდობის განმტკიცებას. ინტერნაციონალიზაციის პროცესი ასევე ხელს უწყობს ქართული განათლების სისტემის მიახლოებას ევროპულ სტანდარტებთან და საქართველოს მიერ დასახული ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ეროვნული მიზნის რეალიზაციას. აღსანიშნავია, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესი ასევე უზრუნველყოფს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების ეფექტურ შესრულებას.

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა შესაძლოა მოიცავდეს როგორც საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას ადგილობრივ აქტივობებსა და პროცედურებში, ასევე,



თანამშრომლობას დაინტერესებულ მხარეებთან (მაგ. ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან) უცხო ქვეყნებში, საერთაშორისო ფორმატებში/პროცესებში საქართველოს მონაწილეობას/ჩართვას/წარმოჩინებას, საერთაშორისო რესურსების/ექსპერტიზის გამოყენებას, უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ხელშეწყობას სანდო და საერთაშორისო დონეზე აღიარებული კვალიფიკაციების უზრუნველყოფით და სხვა.

- **ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი განვითარება და შედეგზე ორიენტაციის ზრდა**

ცენტრმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პოსტაბჭოური სისტემის რეფორმირებისა და თანამედროვე მექანიზმების შემოღების პროცესში. ამისათვის გატარდა ცვლილებები. თუმცა, ახლა კვლავ აქტუალურია სისტემის კრიტიკული შეფასება და განვითარების შემდეგ ეტაპზე გადაყვანა. საკვანძო საკითხია, თუ რა უნდა გაკეთდეს, რათა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მეტად დაეფუძნოს საგანმანათლებლო დაწესებულების შედეგებისა და ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შეფასებას.

შესაბამისად, უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების რევიზია. ასევე, მნიშვნელოვანია შესაბამისი ადამიანური რესურსების (ექსპერტების კორპუსი, ცენტრის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები) და გადაწყვეტილების მიმღები ინსტიტუციების (ავტორიზაცია/აკრედიტაციის საბჭოები) თვისებრივი განვითარება.

- **ცენტრის საქმიანობის ოპტიმიზაცია**

დღესდღეობით ცენტრი სხვადასხვა ფუნქციით ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული ერთეულია განათლების სისტემაში. მისი მისიის ეფექტური შესრულებისათვის და ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ადეკვატურად ორგანიზებული ეროვნული ინსტიტუციის გაძლიერებისათვის საჭიროა ცენტრის საქმიანობის თანმიმდევრული ოპტიმიზაცია. ამისათვის აუცილებელია ცენტრის მოქმედი მანდატისა და მისთვის მინიჭებული ფუნქციების კრიტიკული შეფასება და გარდამავალი ფუნქციების შესახებ დიალოგის წარმოება დაინტერესებულ სუბიექტებთან. მნიშვნელოვანია, რომ თანმიმდევრულად ცენტრის მანდატი შემოიფარგლოს მისიის შესრულებასთან დაკავშირებული კრიტიკული საქმიანობებითა და უფლებამოსილებებით.

- **მეტი აქცენტი განათლების დაწესებულებათა მხარდაჭერაზე და ხარისხის განვითარების ხელშეწყობ საქმიანობებზე**



განათლების ხარისხის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია გარე შეფასების სისტემების სრულყოფის პარალელურად დაწესებულებათა მხარდაჭერა და მათი შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა. დაწესებულებებმა უნდა შეძლონ ხარისხის მართვის შიდა სისტემის ეფექტურად დანერგვა და შედეგზე ორიენტირებული ძლიერი ორგანიზაციული კულტურის სტიმულირება. ცენტრის ამ პროვილის სათანადო განვითარება შესაბამისი რესურსებისა და საქმიანობის ახლებურ დაგეგმვას მოითხოვს.

- **თანამედროვე ტექნოლოგიების მზარდი გამოყენება**

ტექნოლოგიების დანერგვა, სამუშაო პროცესების მაქსიმალური ავტომატიზაცია და სოციალური მედიისა თუ ელექტრონული საშუალებების გამოყენება უზრუნველყოფს ცენტრის სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციასა და მისი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდას.

5. სტრატეგიული მიზნები, მათი მიღწევის გზები და მოსალოდნელი შედეგები

ცენტრის სტრატეგიული მიზნებია:

1. სახელმწიფო პოლიტიკის, მთავრობის პრიორიტეტებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ცენტრის ორგანიზაციული მართვის სისტემებისა და რესურსების განვითარება და მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის განმტკიცება;
2. საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შედეგზე ორიენტირებული სისტემის განვითარება და ცენტრის შესაბამისი სერვისების სრულყოფა;
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის სერვისების განვითარება;
4. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპებზე დაფუძნებული კვალიფიკაციების სისტემის განვითარების უზრუნველყოფა, არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განათლების აღიარების სერვისების ოპტიმიზაცია და სრულყოფა;
5. საქართველოს ცნობადობის ამაღლება ევროპის განათლების სივრცეში და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.



სტრატეგიული მიზანი 1:

სახელმწიფო პოლიტიკის, მთავრობის პრიორიტეტებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ცენტრის ორგანიზაციული მართვის სისტემებისა და რესურსების განვითარება და მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის განმტკიცება

საერთაშორისო გამოცდილებისა და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) მოთხოვნების² დასაკმაყოფილებლად უნდა გაიზარდოს ცენტრის დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ხარისხი, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები მის იურიდიულ ფორმასთან და რეგულაციებთან მიმართებით. ამასთან, ორგანიზაციის დამოუკიდებლობის განმტკიცების პროცესის მხარდაჭერის მიზნით, ცენტრი გეგმავს გარე აქტორების მონაწილეობით საკონსულტაციო საბჭოს ფორმირებას. საბჭოს მოდელის ფორმირებისას გათვალისწინებული იქნება კარგი საერთაშორისო პრაქტიკა და სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა რეკომენდაციები. საბჭოში ჩაერთვებიან როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო სპეციალისტები და გაუწევენ ცენტრს კონსულტაციებს მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასა და მისი საქმიანობის განვითარებისთვის. ეს საშუალებას მისცემს ცენტრს ერთი მხრივ, მოახდინოს პოზიციონირება, როგორც გარე ობიექტურმა შემფასებელმა, აღმოფხვრას პროცედურული ხარვეზები, დაიცვას საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობებისას კონფიდენციალობა და ამავედროულად, შეძლოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ობიექტური და გამჭვირვალე ფუნქციონირება. მეორე მხრივ, აღნიშნული ცვლილებით დააკმაყოფილოს ხარისხის მართვის ევროპული ქსელის (ENQA) წევრობის მოთხოვნა ცენტრის დამოუკიდებლობასთან და გამართულ პროცედურებთან დაკავშირებით.

² Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (2015)

3.3 Independence (p. 22)

Standard: Agencies should be independent and act autonomously. They should have full responsibility for their operations and the outcomes of those operations without third party influence.

აღნიშნული დოკუმენტი და მისი სტანდარტების დაკმაყოფილება წარმოადგენს ENQA-სა და EQAR-ში გაწევრების წინაპირობას.



მართვის სისტემის კომპლექსური გაუმჯობესებისათვის ცენტრი ასევე უზრუნველყოფს სტრუქტურის რეორგანიზებას. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება ცენტრის სტრატეგიისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. განახლებული სტრუქტურის საფუძველზე მოხდება ცენტრის ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია და მათი აღწერა/სტანდარტიზაცია. სტრუქტურული ცვლილებების პარალელურად ასევე განხორციელდება ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის არსებული პრაქტიკის გადახედვა, რათა ამოქმედდეს თანამშრომელთა მოტივაციისა და პროფესიული განვითარების უფრო ქმედითი სისტემა.

ცენტრის საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესებისათვის აქტუალურია მოკლევადიან პერსპექტივაში დასრულდეს განათლების ხარისხის მართვის ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო სისტემის შემუშავება და დაიწყოს მისი ეტაპობრივი დანერგვა. იმავდროულად უნდა მოხდეს აღნიშნული სისტემის, ცენტრის რეესტრისა და განათლების საინფორმაციო სისტემის (EMIS) ეფექტური სინქრონიზაცია.

ცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტია შიდა ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფა. ამ მიზნით ცენტრი 2015 წლიდან ახორციელებს ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) ხარისხის მართვის განვითარების მოდელის დანერგვას (the EFQM Excellence Model). მისი ეფექტური ამოქმედება უზრუნველყოფს განვითარებაზე მიმართული ძლიერი ორგანიზაციული კულტურის ფორმირებას. 2016 წელს ცენტრმა უკვე მოიპოვა EFQM-ის პირველი დონის აღიარება (EFQM Committed to Excellence Award). მომდევნო წლებში ცენტრი უზრუნველყოფს სტანდარტის მიხედვით ხარისხის მართვის პრაქტიკის განმტკიცებას (დამატებითი ინფორმაცია მოდელის შესახებ იხილეთ ვებგვერდზე www.efqm.org).

ამ მიმართულებით ცენტრი გეგმავს ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) წევრისა და პარტნიორის სტატუსის მოპოვებას, რაც, გარდა საერთაშორისო აღიარებისა, ხელმისაწვდომს გახდის ცენტრის მიერ სხვადასხვა სერვისის ლიცენზირებულ მიწოდებას.

მოსალოდნელი შედეგები:

- ✓ გაძლიერებულია ცენტრის დამოუკიდებლობისა და ანგარიშვადებულების სტრუქტურული მექანიზმები;
- ✓ განხორციელებულია ცენტრის რეორგანიზაცია და განახლებული სტრუქტურა სრულად პასუხობს ცენტრის მიმდინარე სტრატეგიასა და არსებულ საჭიროებებს;



- ✓ ამოქმედებულია ადამიანური რესურსების მართვის განახლებული სისტემა, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა გაზრდილ შრომით კმაყოფილებასა და მოტივაციას;
- ✓ ამოქმედებულია განათლების ხარისხის მართვის ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო სისტემა;
- ✓ ცენტრში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სისტემა, რაც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდას;
- ✓ გაზრდილია ცენტრის მომხმარებელთა კმაყოფილების დონე.

სტრატეგიული მიზანი 2:

საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შედეგზე ორიენტირებული სისტემის განვითარება და ცენტრის შესაბამისი სერვისების სრულყოფა

ცენტრს დაგეგმილი აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების კრიტიკული გადახედვა და განახლება. ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები უკვე 2016 წელს გადაიდგა და განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების განახლება. მომავალი ორი წლის განმავლობაში განხორციელდება ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვა და განვითარება.

სტანდარტების გაუმჯობესების პარალელურად მნიშვნელოვანია ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესების უზრუნველყოფა. ამ მიზნით ცენტრი შეიმუშავებს და ამოქმედებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, შეფასებისა და განვითარების განახლებულ სისტემას. სისტემამ უნდა უზრუნველყოს ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაზუსტება, მათი შერჩევის მექანიზმის სრულყოფა და მიმდინარე საქმიანობის ეფექტური შეფასება. განახლებული სისტემის ფარგლებში ასევე საჭიროა ექსპერტთა ვალდებულებების, მუშაობის წესისა და ეთიკური ქცევის ნორმების გადახედვა და სრულყოფა. ამასთან ერთად, ცენტრი იმუშავებს ექსპერტთა კორპუსის პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების წევრების შესაბამისი კვალიფიკაციის უზრუნველყოფისათვის, ცენტრი გეგმავს საბჭოების საქმიანობის წესის განახლებას,



რომელიც განსაზღვრავს წევრების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ ვალდებულებებს, ეთიკური ქცევის ნორმებს და პროფესიული განვითარების საკითხებს.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით დაინერგება საბჭოების გადაწყვეტილებების აპელაციის პროცედურები, რაც ქართულ სისტემას კიდევ უფრო მიუახლოვებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურ სისტემას დიდწილად განაპირობებს მონიტორინგის, მიმდინარე შემოწმების გონივრული მექანიზმი. შესაბამისად, ცენტრი განახორციელებს გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის წარმოების მექანიზმების კომპლექსურ გადახედვა-განახლებას. მონიტორინგის სისტემა დაეფუძნება რისკების მართვის მიდგომას. ეს გულისხმობს რიგი საკვანძო ფაქტორებისა თუ კრიტერიუმების დადგენას, რომელთა ცვალებადობა განსაზღვრავს დაწესებულებაში ხარისხის მართვასთან დაკავშირებული რისკების დონეს და განაპირობებს მონიტორინგის ჩარევის საჭიროებას.

რაც შეეხება აკრედიტაციის სისტემის განახლებას, ამ მიმართულებით უკვე შევიდა კანონში ცვლილებები პირობითი აკრედიტაციის მექანიზმთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს მოქნილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფორმირებას. ეს გარემოება ხელს შეუწყობს აკრედიტირებული პროგრამების ხარისხის უწყვეტ განვითარებას და შედეგზე ორიენტირებული მიდგომების პრაქტიკაში გატარებას. მომავალში მოხდება მოქმედი მექანიზმის შეფასება და საჭიროების მიხედვით მისი გაუმჯობესება.

საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას ასევე ხელს შეუწყობს პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს შეფასების პროცესში ცენტრის მიერ საერთაშორისო ექსპერტების სავალდებულო ჩართვას. მექანიზმის დანერგვის უზრუნველყოფა პირველ ეტაპზე დაგეგმილია ინგლისურენოვანი საგანამანათლებლო პროგრამებისათვის. იგი გავრცელდება ყველა აკადემიურ საგანამანათლებლო პროგრამაზე. ცენტრის ბაზაზე უკვე დაწყებულია საერთაშორისო ექსპერტთა რეესტრის განვითარება და ასევე შესაბამის საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა.

აკრედიტაციის სერვისების განვითარების მიზნით ცენტრი გეგმავს უცხო ქვეყნის ინსტიტუტების მიერ გაცემული აკრედიტაციის აღიარების ოპტიმალური სისტემის განვითარებას. ეს წახალისებს ქართულ საგანამანათლებლო დაწესებულებებს მეტად დანერგონ საერთაშორისოდ აღიარებული პროგრამები და ეფექტურად ითანამშრომლონ უცხოურ ინსტიტუტებთან.



პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სისტემის განახლება განხორციელდება ახალი პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამების კონტექსტის გათვალისწინებით. ცენტრი გააგრძელებს მუშაობას პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს დახვეწაზე, სრულყოფასა და ევროპულ სტანდარტებთან (EQAVET) შესაბამისობის უზრუნველყოფაზე.

ხარისხის სისტემის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი მონაცემების ეფექტური აღრიცხვა და მათი მაღალი სანდოობა. შესაბამისად, ცენტრმა უნდა უზრუნველყოს მის რეესტრში ასახული მონაცემების აღრიცხვისა და გადამოწმების ქმედითი შიდა მექანიზმები. ასევე, უნდა დადგინდეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლებრივი ვალდებულებები მათ მიერ რეესტრში შეყვანილ მონაცემების სანდოობაზე. ეს უზრუნველყოფს გარე აქტორების მიერ რეესტრში შეყვანილი მონაცემების სიზუსტეს.

მოსალოდნელი შედეგები:

- ✓ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებული სტანდარტები და პროცედურები და მათი დანერგვის მექანიზმები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შედეგზე ორიენტირებული ხარისხის მართვის სისტემის განვითარებას და შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებს;
- ✓ ამოქმედებულია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტების შერჩევისა და შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების ობიექტურ შეფასებას, ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და შესაბამისი დასკვნების ხარისხისა და სანდოობის გაუმჯობესებას;
- ✓ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების საქმიანობის განახლებული სისტემა უზრუნველყოფს საბჭოების გადაწყვეტილების პროცესის გამჭვირვალობას, ობიექტურობას, ეფექტურობის გაზრდასა და მეტ სანდოობას;
- ✓ განვითარებულია და სრულად ამოქმედებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმდინარე მონიტორინგის ეფექტიანი სისტემა;
- ✓ გაუმჯობესებულია ცენტრის რეესტრის წარმოების მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა მეტ სიზუსტესა და არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სტრატეგიული მიზანი 3 :



საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის სერვისების განვითარება

დასახული მისიის რეალიზაციისათვის ცენტრის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია საკონსულტაციო/მხარდამჭერი ფუნქციის განვითარება. ამ მიმართულებით ცენტრი გეგმავს შესაბამისი საქმიანობების როგორც ინტენსივობის, ასევე დაფარვის გაზრდას. აღნიშნული ფუნქციის ეფექტური განვითარებისათვის აუცილებელია ცენტრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარება.

მხარდამჭერი საქმიანობები შესაძლებელია მოიცავდეს საინფორმაციო-სასწავლო ღონისძიებებს, ლიტერატურის მომზადება-გავრცელებას, კვლევასა თუ კონსულტირებას.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება დაწესებულებათა დახმარებაზე, რათა მათ შეძლონ შედეგზე ორიენტირებული ხარისხის მართვის სისტემებისა და ეფექტური თვითშეფასების პრაქტიკის განვითარება.

არსებული ვითარების უკეთ გააზრებისა და ქმედითი სტრატეგიის შემუშავების მიზნით მნიშვნელოვანია ხარისხის კულტურისა და ინსტიტუციური განვითარების საკითხების სიღრმისეული შესწავლა. ამისათვის ცენტრს დაგეგმილი აქვს განათლების სხვადასხვა საფეხურის დაწესებულებების შესახებ კომპლექსური კვლევის ჩატარების პრაქტიკის დანერგვა. ეს შესაძლებელს გახდის პროგრესის პერიოდულ შეფასებას და დაეხმარება როგორც ცენტრს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს განათლების სფეროში ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებაში.

ცენტრი აქცენტს გააკეთებს ელექტრონული საინფორმაციო რესურსების შექმნაზე და ეცდება შესაბამისი ელექტრონული პლატფორმების განვითარებას.

მხარდაჭერის მიმართულების გაძლიერებისათვის ცენტრი ასევე გეგმავს განათლების სფეროში ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სერვისების განვითარებას. პირველ ეტაპზე, იგეგმება ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) სტანდარტის დანერგვის სერვისის მიწოდება. ეს მოიცავს სტანდარტის შესახებ საინფორმაციო ტრენინგებს, დანერგვის მიზნით კონსულტაციებს და დანერგვის ვალიდაციის უზრუნველყოფას.

მოსალოდნელი შედეგები:



- ✓ განვითარებულია საგანმანათლებლო დაწესებულებათა შიდა ხარისხის მართვის ფუნქციის მხარდაჭერაზე მიმართული სხვადასხვა მექანიზმი და რესურსი, რაც უზრუნველყოფს მხარდამჭერი საქმიანობის მოცულობისა და ეფექტიანობის ზრდას;
- ✓ ამოქმედებულია საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხარისხის კვლევის პრაქტიკა და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე საჭიროებებზე ორიენტირებული ინტერვენციის დაგეგმვის მექანიზმები;
- ✓ ცენტრი ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისოდ აღიარებული სისტემების დანერგვას.

სტრატეგიული მიზანი 4:

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპებზე დაფუძნებული კვალიფიკაციების სისტემის განვითარების უზრუნველყოფა, არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განათლების აღიარების სერვისების ოპტიმიზაცია და სრულყოფა

დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობით ცენტრის მიერ შემუშავდა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების ეროვნულ კვალიფიკაციათა განახლებული ჩარჩო დოკუმენტი და საერთაშორისო დონეზე განსაზღვრული სწავლის სფეროების (ISCED) შესაბამისად განათლების სფეროების კლასიფიკატორი. ამ დოკუმენტების დამტკიცება და ამოქმედება მნიშვნელოვანი სიახლე იქნება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. შესაბამისად, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს მათ პოპულარიზაციაზე და მოხდეს დაინტერესებული პირებისა და ფართო საზოგადოების სწორი და სწრაფი ინფორმირება. ამ მიზნით ცენტრი შეიმუშავებს საკომუნიკაციო სტრატეგიას და განახორციელებს თანმიმდევრულ საინფორმაციო კამპანიას.

ცენტრი ასევე უზრუნველყოფს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს თვითსერტიფიცირების პროცესის განხორციელებას და გააგრძელებს საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელებში (ENIC-NARIC) წარმომადგენლის სტატუსით აქტიურ მონაწილეობას.

ახალი ჩარჩოს დანერგვისათვის საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის სრულყოფას. ახალი სისტემის ეფექტური დანერგვის მიზნით დაგეგმილია არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მინიჭებისა და უფლებამინიჭებული დაწესებულების მონიტორინგის სისტემის შემუშავება და ეტაპობრივი ამოქმედება.



ასევე ერთ-ერთი პრიორიტეტია კვალიფიკაციის აღიარებისა და დადასტურების სხვადასხვა სერვისის ოპტიმიზაცია და მათი ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება. ამ მიზნის რეალიზებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ცენტრის რეესტრის მონაცემთა სრულყოფა და მათი სიზუსტის ხარისხის გაზრდა, რისთვისაც ცენტრმა უნდა უზრუნველყოს მონაცემთა შევსებისა და გადამოწმების მკაფიო შიდა პროცედურების ეფექტური დანერგვა.

განათლების აღიარების მომსახურების ოპტიმიზაციის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს განათლების აღიარების მოქმედი პრაქტიკის სამართლებრივი საფუძვლების გადახედვა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მისი მიწოდების მექანიზმის გადახედვა.

საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და აპოსტილის მომსახურების სისტემის ოპტიმიზაცია-განვითარებისათვის საჭიროა ერთგვაროვანი პრაქტიკის სამართლებრივად გამყარებული პროცედურის ჩამოყალიბება და მომსახურების მიწოდების კომპონენტის იუსტიციის სამინისტროს სერვისების სააგენტოსთან სინქრონიზაცია.

მოსალოდნელი შედეგები:

- ✓ ამოქმედებულია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების ეროვნულ კვალიფიკაციათა განახლებული ჩარჩო დოკუმენტი და საერთაშორისო დონეზე განსაზღვრული სწავლის სფეროების (ISCED) შესაბამისად განათლების სფეროების კლასიფიკატორი;
- ✓ დაინტერესებული პირები სათანადოდ არიან ინფორმირებული განახლებული კვალიფიკაციათა ჩარჩო დოკუმენტისა და კლასიფიკატორის შესახებ;
- ✓ შემუშავებული და ამოქმედებულია არაფორმალური განათლების აღიარების განახლებული სისტემა;
- ✓ გაუმჯობესებულია განათლების აღიარების, საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და აპოსტილის მომსახურების მიწოდების ხარისხი.

სტრატეგიული მიზანი 5:



საქართველოს ცნობადობის ამაღლება ევროპის განათლების სივრცეში და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

ცენტრი ძალისხმევას არ იშურებს, რათა მოიპოვოს სრული წევრის სტატუსი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელში (ENQA). 2013 წლიდან ცენტრი არის აღნიშნული ქსელის აფილირებული ორგანიზაცია. მოსამზადებელ ეტაპზე საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით განხორციელდება ENQA-ს მოთხოვნებთან მიმართებით ცენტრის საქმიანობის შესაბამისობის შეფასება. დასკვნის საფუძველზე ცენტრი განახორციელებს სათანადო ცვლილებებს და მოამზადებს ENQA-ს ქსელის სრულ წევრობაზე განაცხადს. ENQA-ს წევრობა აამაღლებს ნდობას ცენტრისა და ასევე საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მიმართ, მოახდენს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით სიახლეების შესახებ მათ ინფორმირებულობას. აგრეთვე საშუალებას მისცემს ცენტრს, თავად უმასპინძლოს ENQA-ს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს, ითანამშრომლოს ENQA-ს სხვა წევრ ორგანიზაციებთან საზღვრებს მიღმა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით. ENQA-ს წევრობის მიღების შემდეგ ცენტრი მოამზადებს განაცხადს EQAR-ის (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი) წევრობის შესახებ, რომლის წინაპირობა არის ENQA-ს სრული წევრობა.

ასევე მნიშვნელოვანია ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფებში (BFUG) აქტიური მონაწილეობა. ცენტრის მიზანია ბოლონიის პროცესის განხორციელების სამდივნოს წევრის სტატუსის მოპოვება. იქამდე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამუშაო ჯგუფების ფარგლებში აღებული ფუნქციების ეფექტურ შესრულებას.

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიმართულებით ასევე მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების აკრედიტაციის ორგანოს გადაწყვეტილებათა აღიარების მექანიზმის შემუშავება და დანერგვა.

პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით კი შემუშავდება ECVET-ის დანერგვის, ECVET და ECTS სისტემებს შორის შესაბამისობის დადგენის კონცეფცია და კრედიტების გაანგარიშების სახელმძღვანელო.

პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების და ინტერნაციონალიზაციის მიზნით ცენტრი გეგმავს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ქსელთან (EQAVET) თანამშრომლობას.



ინტერნაციონალიზაციის პროცესის მხარდაჭერის მიზნით ცენტრი ასევე ითანამშრომლებს ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციასთან, რომლის წევრიც იგი გახდა 2016 წელს. ცენტრი დაეხმარება ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ამ და სხვა საერთაშორისო ქსელებში ინტეგრირებაში.

უმაღლეს და პროფესიულ განათლებაში ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილება და აღიარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საერთაშორისო ცნობადობის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს უცხოელი სტუდენტების საქართველოში განათლების მიღებით მაღალ დაინტერესებას.

მოსალოდნელი შედეგები:

- ✓ ცენტრი სრული წევრის სტატუსით გაერთიანებულია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელში (ENQA);
- ✓ ცენტრი აქტიურად მონაწილეობს ბოლონიის პროცესში და წევრის სტატუსით ჩართულია სამდივნოს საქმიანობაში;
- ✓ შემუშავებული და დანერგილია სხვა ქვეყნების აკრედიტაციის ორგანოს გადაწყვეტილებათა აღიარების მექანიზმი;
- ✓ პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებულია ECVET-ის დანერგვის, ECVET და ECTS სისტემებს შორის შესაბამისობის დადგენის კონცეფცია და კრედიტების გაანგარიშების სახელმძღვანელო;
- ✓ დანერგილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შეფასების სისტემა;
- ✓ გაზრდილია საქართველოში განათლების მიღებით დაინტერესებული უცხოელი სტუდენტების რიცხვი;
- ✓ ცენტრი აქტიურად მონაწილეობს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ქსელის (EQAVET) ღონისძიებებში.

6. სტრატეგიის დანერგვის გეგმა 2016-2017 წლები

სტრატეგიული მიზანი 1:

სახელმწიფო პოლიტიკის, მთავრობის პრიორიტეტებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ცენტრის ორგანიზაციული მართვის სისტემებისა და რესურსების განვითარება და მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის განმტკიცება

საქმიანობა	2016	2017	
	9-12	1-6	7-12
1.1 ცენტრის რესტრუქტურის გეგმის შემუშავება და ცვლილებების დანერგვა			
1.2. ფუნქციებისა და სერვისების ოპტიმიზაციის გეგმის შემუშავება და დანერგვა			
1.3. ცენტრის გარე საკონსულტაციო საბჭოს მოდელისა და საბჭოს ფორმირება			
1.4. ცენტრის ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია			
1.5. ელექტრონული საინფორმაციო სისტემის ფარგლებში უმაღლესი განათლების მართვის მოდულის შემუშავების დასრულება და მისი ამოქმედება			
1.6. ცენტრის ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირების თვითშეფასება და განვითარების გეგმის განახლება			



სტრატეგიული მიზანი 2:

საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შედეგზე ორიენტირებული სისტემის განვითარება და ცენტრის შესაბამისი სერვისების სრულყოფა

საქმიანობა	2016	2017	
	9-12	1-6	7-12
2.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების დამტკიცება და შეფასების პროცედურის გაუმჯობესება			
2.2. განახლებული სტანდარტების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესის ორგანიზება			
2.3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/აკრედიტაციის გადაწყვეტილების აპელაციის პროცედურის შემუშავება და ამოქმედება			
2.4. ავტორიზაცია/აკრედიტაციის ექსპერტების შერჩევისა და შეფასების სისტემის განახლება, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა, საერთაშორისო აკრედიტაციის აღიარებისათვის საკანონმდებლო ცვლილების მომზადება			
2.5. ავტორიზაცია/აკრედიტაციის საბჭოების მუშაობის განახლებული წესის შემუშავება			



2.6. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების განახლება და განვითარება (მათ შორის, უცხო ქვეყნების მიერ გაცემული აკრედიტაციის აღიარების წესი)			
2.7. დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება და არსებული დარგობრივი მახასიათებლების გადახედვა			
2.8. ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და აკრედიტირებული პროგრამების მონიტორინგის განახლებული სისტემის ფორმირება და დანერგვის დაწყება			
2.9. რეესტრის მონაცემთა სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება			
2.10. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების განახლებაზე მუშაობის დაწყება			
2.11. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სისტემის დანერგვა			
2.12. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ავტომატიზაცია			

სტრატეგიული მიზანი 3:

საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერისა სერვისების განვითარება

საქმიანობა	2016	2017
------------	------	------



	9-12	1-6	7-12
3.1. ცენტრის ბაზაზე საკონსულტაციო სტრუქტურული ერთეულის განვითარება და სერვისების დანერგვა			
3.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების და ხარისხის მართვის პრაქტიკისა და კულტურის შესახებ კვლევის განხორციელება			
3.3. საინფორმაციო/საკონსულტაციო პორტალის კონცეფციის შექმნა და დამზადება			

სტრატეგიული მიზანი 4:

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპებზე დაფუძნებული კვალიფიკაციების სისტემის განვითარების უზრუნველყოფა და არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განათლების აღიარების სერვისების ოპტიმიზაცია და სრულყოფა

საქმიანობა	2016	2017	
	9-12	1-6	7-12
4.1. სიცოცხლის მანძილზე სწავლების ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს და განათლების სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცება			
4.2. შესაბამისი საინფორმაციო/საკომუნიკაციო სტრატეგიის კამპანიის გეგმის შემუშავება და კამპანიის დაწყება			



4.3. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს თვითსერტიფიცირების პროცესის განხორციელება			
4.4. არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის სრულყოფა			
4.5. განათლების აღიარების სერვისის სამართლებრივი საფუძვლების შესწავლა და მისი ოპტიმიზაციის გეგმის შემუშავება			
4.6. საგანამანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და აპოსტილის მომსახურების პროცედურის ოპტიმიზაცია/სტანდარტიზება			
4.7. რეესტრის წარმოების პროცედურების დაზუსტება და სტანდარტიზება			

სტრატეგიული მიზანი 5:

ევროპის განათლების სივრცეში ინტეგრაცია და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

საქმიანობა	2016	2017	
	9-12	1-6	7-12
5.1. ENQA-ს სრული წევრის სტატუსის მოპოვებისათვის განაცხადის გაკეთება და შესაბამისი პროცედურების განხორციელება			
5.2. EQAR-ში გაწევრიანების პროცედურების დაწყება			



5.3. ცენტრი მონაწილეობს ბოლონის პროცესის განხორციელების ჯგუფის (BFUG) საქმიანობაში და შეტანილი აქვს განაცხადი საქართველოს მიერ BFUG-ის სამდივნოს წარმომადგენლობის მოვალეობის შესრულების შესახებ			
5.4. შემუშავებულია და დანერგილია სხვა ქვეყნების აკრედიტაციის ორგანოს გადაწყვეტილებათა აღიარების მექანიზმი			